დღეს ნომერში 8

- ესმაურებიან მოფარიკავეთა წერილს
- ნორჩებს — აქტიური დასვენება!
- ორი თასის გათამაშების წყვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლე-ლო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕ-ЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 138 (2501) ◉ ოთხშაბათი, 15 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

მადლობა — პარტიასა და მთავრობას!

მოსკოვში მიმდინარე სსრ კავშირის VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს IV სესიაზე მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელმაც ილაპარაკა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების შესახებ.

ქვემოთ გბეჭდავთ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების გამოხმაურებას ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტზე.

ნათელი პერსპექტივები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ახალ პერსპექტივებს შლის ფიზკულტურული კადრების სწორად განაწილებაში. რა დასამალია, რომ ჩვენი სოფლის სკოლების ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაცია ყოველთვის ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა უყენებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთ. ამიტომ ხელფასების მომატება კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ფიზკულტურული კადრების სოფლად მუშაობის მიზიდვაში.

ნ. კოკლაბაძე,
საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგის მოადგილე.

გაასკეცებული ენერგიით

კომუნისტური საზოგადოების აშენებისთვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვთ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს. ადამიანის აღზრდა ისე, რომ მასში ჰარმონიულად იყოს შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა, ნამდვილად საპატიო და საამაყო მოვალეობაა. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისადმი ჩვენ გაასკეცებული საქმიანობით უნდა ვუპასუხოთ.

ნ. რობაქიძე,
„სპარტაკის“ საორგანიზაციო-მასობრივი და კადრების განყოფილების გამგე.

მაღალი სტიმული

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე კიდევ ერთი დადასტურებაა პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვისა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი კულტურის განვითარებისთვის.

ჩვენ, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, არა ერთხელ გვიგრძნია პარტიისა და მთავრობის სათუთი ყურადღება, მშრომელთა მასების ფიზიკური ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ყოველდღიური ბრძოლის ცხოველმყოფელი ძალა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სოფლისა და ქალაქის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა ხელფასები გათანაბრდა. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მასწავლებლებს მეტი ინტენსიურობით მოეკიდონ თავიანთ საქმიანობას, გაზრდის მათი პასუხისმგებლობის გრძნობას. სოფლის მასწავლებელთა ხელფასების მომატება კიდევ უფრო მიიზიდავს სოფლად მუშაობისკენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებსაც.

ვ. ჟღენტი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სულანაცვალი საფეხბურთო...

◆ კისლოვოდსკი, 14 ივლისი. სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მოწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ხასინმა მოუგო კლიუგერს (უნგრეთი). ტაღ—ბრანდვარევიჩის (იუგოსლავია), ლიბერზონ — ავერბახის, ფუქს (გდრ) — ფიხტლის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები ყაიმით დამთავრდა. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ ტალი და შტეინი.

◆ გორკი, 14 ივლისი. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მძლეოსნობაში მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონმა ინესა იაუნზემემ შუბი ტყორცნა 53,79 მეტრზე, ხოლო ვასილ რუდენკოვმა უროს ტყორცნაში აჩვენა 65,89 მ.

◆ მოსკოვი, 14 ივლისი. სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ დღეს დაამტკიცა იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც ტრადიციულ მატჩში 25-26 ივლისს ლოს-ანუელოსში შეხვდებიან ამერიკელ მძლეოსნებს. ასპარეზობაში 8 მოკავშირე რესპუბლიკის 80 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის 25 ამ შეჯიბრების ახალბედაა (ზუბოვი, ტოკი, კიმი, ლაცე, ბაბინცევა, გორჩაკოვა და სხვ.). ასპარეზობა გაიმართება ვაჟთა 22 და ქალთა 10 სახეობაში.

◆ ლენინგრადი, 14 ივლისი. დღეს გაიმართა სსრ კავშირ—იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის V ტური, რომელიც ჩვენი სპორტსმენების წარმატებით აღინიშნა. რანიკუმ მოუგო ივანოვიჩს, ბორისენკომ — ლაზარევიჩს, ტაიმანოვმა — მატულოვიჩს, კორჩნოიმ — ივკოვს. სპასკი — ჩირიჩისა და მატანოვიჩ — ვასიუკოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ერთადერთი გამარჯვება სტუმრებს მოუტანა ჭაბუკმა ბოიკოვიჩმა, რომელმაც დაამარცხა გრიგორიანი. 5 ტურის შემდეგ ანგარიშია 29:14 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

◆ ვოლგოგრადი, 14 ივლისი. აქ დამთავრდა სტუდენტთა IV საკავშირო თამაშებით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. მაღალი შედეგი აჩვენა ლენინგრადელმა გ. ბისტროვამ, რომელმაც ხუთჭიდში 4.885 ქულა დააგროვა.

◆ კლერმონ-ფერანი. „ტურ დე ფრანსის“ XVIII და XIX ეტაპებს ლიდერთა განლაგებაში ცვლილება არ მოუხდენია. ბორდოში პირველი იყო ფრანგი ა. დარიგადი, ბრივეში კი — ბელგიელი ე. სელსი. XX ეტაპის (ბრივე—კლერმონ-ფერანი) სიგრძე 237 კმ იყო. აქ თავი გამოიჩინეს ესპანელმა ველოსიპედისტებმა. პირველი ადგილი ა. პამენესმა დაიკავა, მეორე — ფ. ბაამონტესმა. 20 ეტაპის ჯამში რბოლას ჟ. ანკეტილი ლიდერობს, პულიდორი მასთან მხოლოდ 14 წამს აგებს, ბაამონტესი კი — 2 წუთს. XXI ეტაპზე (იგი ყველაზე გრძელია რბოლაში — 311 კმ), რომლის ფინიში შედგა ორლეანში, გაიმარჯვა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონმა უან სტაბლინსკიმ (საფრანგეთი). რბოლის ლიდერობას ინარჩუნებს ჟ. ანკეტილი, რომელიც კვლავ 14 წამით უსწრებს რ. პულიდორს.

ახალი წოდება

აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთების 150 წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის განვითარებაში დამსახურებისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა „აზერბაიჯანის ფიზიკური კულტურის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება. გამოქვეყნდა ამ მაღალი წოდების პირველ მფლობელთა სია, რომელშიც შევიდნენ ფიზკულტურისა და სპორტის 19 გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის — „ბურევესტნიკის“ აზერბაიჯანის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ს. ლორთქიფანიძე.

დრო სწრაფად მიდის. შეუმჩნევლად იკეცება კალენდრის ფურცლები და ჩვენი პლანეტის სპორტული საათის ისარი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს უახლოვდება. მთელი მსოფლიო ემზადება ამ დიდი ზეიმისთვის.

ამჟამად ჩვენი სამყაროს ყველა კუთხეში გაცხოველებულია მზადებაა ტოკიოს თამაშებისთვის. ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიც, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი — ატარონ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრის კანდიდატის სამკერდე ნიშანი. მათი რიცხვი 40-მდე აღწევს და მოსალოდნელია, უმრავლესობამ დაიცვას ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება ტოკიოში. მოგაგონებთ, რომ რომის თამაშებში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 18 წარმომადგენელი.

მთელი მსოფლიო აალაპარაკა რომის თამაშების დროს ჭართველმა სპორტსმენმა რობერტ შავლაყაძემ. იგი გამარჯვებულის კვარცხლბეკის იმ საფეხურზე ავიდა, რომელსაც ჩვენი პლანეტის სპორტული პრესა და სპეციალისტები ამერიკელ ჯ. თომასს უწინასწარმეტყველებდნენ. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ოლიმპიურ ჩემპიონს ძმები ზნამენსკების სახელობის მემორიალზე სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილის მოპოვების შემდეგ. იგი მილოცვას იღებს სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბ. დიაჩკოვისგან.

ტანმოვარჯიშეთა მოსკოვში გამართულ უკანასკნელ დიდ შეჯიბრებაზე ალექსანდრა ჭანუაშვილმა (მარჯვნივ). მხოლოდ XII ადგილი დაიკავა უძლიერესთა შორის. მაგრამ დიდ სპორტში

ჩვენი ოლიმპიელები

ჯერ კიდევ „მოუნათლავ“ ჭართველ გოგონას ყველა პირობა აქვს იყოს ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე.

სისტემატურად მაღალ სტაბილურ შედეგებს აჩვენებს თბილისელი სტუდენტი მძლეოსანი ლიუდმილა იევლევა. ისიც ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა სიაშია (შუა სურათზე).

ფოტო ვ. ტუტოვისა და ო. გელაშვილისა.



შ. ქველიაშვილის ორი რეკორდი

მოსკოვი, 14 ივლისი (ფოტოდეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა შ. ქველიაშვილმა, რომელმაც ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში 393 ქულა დააგროვა. ასევე სარეკორდო გამოდგა ქულათა ჯამიც — 1.154 ქულა. ორივე რეკორდი ადრე ეკუთვნოდა მ. იტკინს. შ. ქველიაშვილი ოლიმპიურ ნაკრებში პირველ ნომრადაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყველგან ჩქეფდეს პიონერული ზაფხული!

პიონერული ზაფხული დიდი ხანია „ფორმაში“ შევიდა. ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში გახსნილია პიონერთა ბანაკები, სადაც ათასობით ნორჩი ისვენებს, იკაჟებს სხეულს ტურისტულ ლაშქრობებსა თუ სპორტულ მოედნებზე. არც ქალაქად დარჩენილი ბავშვები დაივიწყეს უფროსებმა, — ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში მოწყობილია საქალაქო და სარაიონო პიონერთა ბანაკები და ჯანმრთელობის ზონები. ასე რომ, კომუნიზმის მომავალი მშენებლებისათვის აქტიური დასვენებისა და ჯრთობის ყველა პირობაა შექმნილი.

„ლელოს“ ეს გვერდი სწორედ პიონერულ ზაფხულს, მის ავ-კარებს ეძღვნება.



სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის კიკეთის პიონერთა ბანაკში სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ სურათზე ბანაკის ნორჩი ფრენბურთელები არიან აღბეჭდილი, რომლებიც საბანაკო პირველობის ერთ-ერთ მატჩს ატარებენ.

ფოტო და ტექსტი ა. სოსელიანისა.

ტურისტული გილიკეგით

ამ დღეებში სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა ფიზაღზრდის მასწავლებელ შ. არუთინაშვილის ხელმძღვანელობით. ლაშქრობაში მარშრუტი იყო: სოფელი გურჯაანი — ყველაწმინდა — ფხოველი — ზიარი — ქოდალო — არაშენდა — გურჯაანი.

ტურისტული ლაშქრობა წარმატებით ჩატარდა.

ი. ოდიშელიძე

გურჯაანი.

სტუმრად ნორჩებთან

არაჩვეულებრივი გამოცოცხლება სუფევდა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა კოჯრის პიონერულ ბანაკში. წითელი ალმებით და ლოზუნგებით ლამაზად შემკული ბაზი საპატრო სტუმრების მოლოდინში გარინდულიყო. დრო იწურებოდა. და აი, საყვირის ხმამ პიონერებს სტუმრების მოსვლა აუწყა.

ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ჩვენი საამაყო წპორტსმენები — ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, გ. სალარაძე, ა. კიკნაძე, ნ. გოგიბედაშვილი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები მ. თიკანაძე და გ. ვარძელაშვილი.

უფროს პიონერხელმძღვანელს თ. ჭუბაბრიას პატაკს აბარებს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თ. ზალიევი და კითხულობს რაზმეულის საბჭოს დაფგნილებას გამოჩენილ ქართველ მოჭიდავეთა რაზმეულის საპატრო პიონერეად მიღებაზე. ნორჩი პიონერები ალისფერ ყელსახვევებს უკეთებენ საპატრო სტუმრებს.

ნორჩ მასპინძლებს გულთბილად მივესალმა გ. სალარაძე. მან თავისი ბავშვობის წლები თურმე ამ ბანაკში გაატარა... ნორჩებს სიტყვებით მიმართეს აგრეთვე ვ. ბალავაძემ და ა. კიკნაძემ. მათ კარგად დასვენება და გაკაჟება უსურვეს პიონერებს.

ყველაზე საინტერესო მაინც სპორტული შეჯიბრა იყო. ფრენბურთის მოედნის ერთი მხარე მსოფლიო ჩემპიონებმა დაიკავეს, მეორე კი — ბანაკის ნაკრებმა. გამარჯვება გამორჩენილ სპორტსმენებს ხვდათ წილად.

საღამოს ერთხელ კიდევ იხილეს ბავშვებმა საყვარელი სტუმრები, ამჯერად უკვე ეკრანზე — ფილმში „ქაროველი ფალავნები“.

ა. ნარგიზიშვილი

კოჯორი.

ავიც და კარგიც...

დილის 9 საათია. თბილისის მოსწავლეთა პარკი, სადაც პირველი მაისის სახელობის რაიონის პიონერთა საქალაქო ბანაკია მოთავსებული, წითელყელსახვევიანი ბიჭებითა და გოგონებით გაივსო. აქ, ახწლოვანი ხეების ჩრდილში, კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებსა და დარბაზებში. მათ საშუალება აქვთ თამაშონ ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი... შათ განკარგულებაშია საცურაო აუზი, ჭადრაკისა და შაშის დაფები, დაუზარელი მწვრთნელები და კეთილი, ყურადღებიანი ექიმი, რომელიც ყოველთვის გულღია და მომღიმარეა.

ბანაკში სპორტის 9 სექციაა ჩამოყალიბებული: ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, შაშისა და ტურიზმის. სპორტის სახეობათა ეს მრავალფეროვნება, ცხადია, პიონერებს საშუალებას აძლევს ხალისით გაატარონ დრო და, რაც მთავარია, „საბრძოლო ფორმაში“ შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

სექციების წევრები კმაყოფილი არიან. და ეს არც არის გასაკვირი. ბანაკის შეფობა იკისრა საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელიც სპორტული ინვენტარით ამარაგებს პიონერებს. ამიტომ ხშირად გაიგონებთ ფეხბურთის სექციაში: ეს ის ბურთია, ბარჭიამ გადამწყვეტი გოლი რომ გაიტანაო.

რაკი საქმე მიდგა ინვენტარით მომარაგებაზე, მოდით, ქალაქის პიონერთა სხვა ბანაკებსაც მივხედოთ. თბილისში ხომ სხვაგანაც არის ბანაკები, რომლებსაც არც „დინამო“ უწევს შეფობას და არც „სპარტაკი“. მით უმეტეს, რომ პიონერები მომთხოვნი ხალხია. მათ შეუძლიათ გვითხრან: აი, უფროსებმა შეგვაქეს, ნაკლი კი დაივიწყეს. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენს ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ყველაზე მეტად გამოხატავენ პიონერთა საქალაქო ბანაკების მუშაობაში არსებულ საერთო ნაკლს.

მაშ, ასე:

ოთხი თამაშობა. 16 ელოდება

ქომგინაცია, როგორც ჩანს, მეტისმეტად რთულია. ამას ისიც მოწმობს, რომ პიონერები ალითა გევორქოვი, ლიოვა გოლუბენკო, სუსანა ხაჩატურიანი და კიდევ ათამდე ბავშვი დაძაბულად ჩასცქერიან დაფას, რომელზეც თამაშობენ კოლეგები — ალექსანდრე ჰოპაშვილი და ნატაშა მიხაილოვა.

ოთხი ეტლის ენდშპილში ალექსანდრემ ხელიდან გაუშვა მოგება.

პარტია გაგრძელდა.

— ეეხ! — ამოიოხრა ლიოვამ, — მგონი საღამომდეც არ დაამთავრებენ.

26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა საქალაქო ბანაკის — „თანამგზავრის“ უფროსმა ზურაბ ლომიშვილმა აგვიხსნა:

— როცა სპორტული ინვენტარი გაანაწილეს, რესპუბლიკურ ბანაკებს დაურიგეს უველაფერი, ჩვენ კი დაგვტოვეს. გვჭირდებოდა ჭადრაკის 14 კომპლექტი, გვაქვს.... 2. ახლა გამოდის, რომ ოთხი თამაშობს, 16 ელოდება... ასევეა შაშითაც.

ბრიპთან ბრძოლის ორიგინალური „მეთოდი“

როცა ბანაკში მოვიდნენ, პიონერებს ბორის ცხვირაშვილს, გიორგი მაყაშვილს და რაფიელ აკოფოვს ეგონათ, რომ მათი პიონერხელმძღვანელი გოდერძი რთველიაშვილი უოველისშემძლე კაცია. მაგრამ გავიდა ხანი და გამოირკვა, რომ ერთია მოწადინება და მეორე— შეუძლებელის გაკეთება. მიზეზი კი ასეთი იყო: პიონერებს გულით ეწადათ წასულიყვნენ შორეულ ლაშქრობაში, ვთქვათ, ბეთანიაში. მაგრამ ბანაკმა „თანამგზავრმა“ ეს ვერ განახორციელა.

—არ გვაქვს კარვები, ტურისტული ტანსაცმელი და ინვენტარი, — ამბობს გოდერძი რთველიაშვილი.

კიროვის რაიონის გ. ტიტოვის სახელობის ბანაკში კი ლაშქრობის მოუწყობლობის მიზეზად ასახელებენ... გრიპს! აღმოჩნდა, რომ შარშან, როცა მათ კოჯორში „გაილაშქრეს“, რამდენიმე ბავშვს სურდო შეეყრიდა.

— გვეშინია წელსაც არ გაგვიცივდნენ ბავშვები, — თქვა ბანაკის უფროსმა ნანა ვადაჭკორიამ.

ჭაში „მოცურავე“

ვაკანაკეებაა. „თანამგზავრის“ პიონერხელმძღვანელმა როზა მამაჯანიანმა რაზმი ბანაკის გარეთ წაიყვანა.

აეროდრომის მახლობლად, სადაც მაღალი ალვებია და კარგი ჩრდილიაცის, სასაუბროდ მოიკალათეს. უკან დაბრუნების დროს ერთი პიონერი არ ჩანდა. ვინ? იურა თათეოსიანი.

ეძებეს. გამოირკვა, რომ ასიოდე მეტრის დაშორებით სახანძრო ონკანიდან გადმოხეთქილ წყალს ერთკუბომეტრიანი ორმო აუვსია და აი, იურა შიგ, ჭუჭყიან წყალში ჭყუმპალაობს. როზა მას გაუწყრა და დატუქსა.

— იურა ხულიგანია, — ამბობს პიონერხელმძღვანელი.

დავუშვათ, რომ ეს ასეა (თუმცა ეს სიმართლისაგან ძალზე შორსაა), ხომ შეიძლებოდა ნ სექციის ნაცვლად ბანაკში 10 ჩამოეყალიბებინათ, შათ შორის ცურვისაც. „თანამგზავრში“ ბევრია ცურვის მსურველი და შესაძლებლობაც აქვთ. და მაშინ, ცხადია, იურას არ დაეჭირდებოდა „ჭის“ წყალში ბანაობა.

გ. ნოზაძე

* * *

პირველი მაისის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის აუზში უოველდღიურად დაცურავენ ნორჩები. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ფოტო ა. რუხაძისა.

ბუნების წიაღში

ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის მოლაშქრეთა ჯგუფი 25 მოსწავლის შემადგენლობით ჯერ კიდევ მაის ამოსვლამდე შეეყარა. აქედან კი ტურისტები სოფელ ყუმისთავისკენ გაემართნენ.

ლაშქრობის დროს მოსწავლეებმა გადაიღეს ფოტოსურათები სასკოლო ალბომისთვის, შეაგროვეს მცენარეთა ნიმუშები და სხვ.

ბუნების წიაღში საინტერესო მოგზაურობის შემდეგ მოსწავლეები წყალტუბოს ძველი გზით მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდნენ. მოსწავლეებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს წარმტაცი ლაშქრობა.

შ. ჩიმაკაძე,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

ქუთაისი.



სურათზე: ნორჩი მოგზაურები სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეებს ჩაის კრეფაში ეხმარებიან.

ფოტო გ. ჭეიშვილისა.

ყველგან ერთნაირად როდი მუშაობენ

ისმის საყვირის ხმა. პიონერები იკრიბებიან ბანაკისპირა მოედანთან, სწრაფად ეწყობიან და ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ასე იწყება ყოველი დილა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკში (ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯ. ხუჯაძე). ამ ბანაკში ჩქეფს ფიზკულტურული ცხოვრება და ეს ჩანს შეჯიბრებათა ამსახველ ფოტოსურათებსა და ასპარეზობათა ცხრილებში, რომლებიც პიონერებს თვალსაჩინო ადგილას გაუკრავთ. ამ ბანაკის კედლის გაზეთები კი მოგვითხრობენ შიდასაბანაკო სპარტაკიადის მსვლელობაზე, ჩატარებულ ტურისტულ ლაშქრობებზე და სხვ.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სურამის ტერიტორიაზე 7 რესპუბლიკური ბანაკია, რომლებშიც 1.000-ზე მეტი პიონერი ისვენებს. ყველა ბანაკში 1 ნაკადი დასახრულს მიუახლოვდა. უმრავლესობაში კი ჯერ კიდევ არ ჩატარებულა შიდასაბანაკო სპარტაკიადა, ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ ღონისძიებებში ბავშვთა ჩაბმას. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ბანაკებში რატომაც არ იყენებენ საცურაო აუზებს. ისინი ჯერ კიდევ წყლითაც არ გაუვსიათ და ამიტომ მოსწავლეთა მიერ ცურვის შესწავლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

გ. მათიაშვილი
(ჩვენი კორ.).

ხაშური.

მორიგი ტურის წინ

დღეს, 15 ივლისს, მორიგი ტურია სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში. შედგება 6 მატჩი. მაგრამ ამ დღეებში გათამაშების ჩატარება ერთ მთლიან ტურად დაირღვევა და გამართება ცალკეული შეხვედრებიც (16 ივლისს — მოსკოვის „დინამო“ — „ერილია სოვეტოვი“, 19 ივლისს — ცსკა — „შინიკი“).

რა არის ყველაზე საყურადღებო აღნიშნული ტურის მატჩებიდან? რა თქმა უნდა, ჩვენს მკითხველებს პირველ რიგში აინტერესებთ საქართველოს ფეხბურთელთა გამოსვლები და უნდა ითქვას, რესპუბლიკის ორივე გუნდს დღეს ძალზე ძნელი მატჩები აქვს.

დავიწყოთ „ტორპედოდან“. მისი დიდი პროგრესი ბოლო ხანებში უდავოა, ვინაიდან თითქმის უიმედო მდგომარეობიდან გუნდმა შეძლო არა მარტო დაეტოვებინა ბოლო ადგილი, არამედ დასწეოდა წინ წასულთა და შეექმნა ქულათა მტკიცე ბაზა. და აი, ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე ქუთაისელთა მეტოქეა მოსკოვის „ტორპედო“, რომელიც საკუთარ მინდორზე ხვდება თანაკლულებებს. მოსკოველები ახლა ძალიან ძლიერად თამაშობენ. მათ საუკეთესო დაცვა და უაღრესად აქტიური, აგრესიული თავდასხმა ჰყავთ. ამ გუნდში საუცხოოდაა შეხამებული ვეტერანების მაღალი ოსტატობა (ივანოვი, ვორონინი, სერგეევი, შუსტიკოვი, კავაზაშვილი) ახალგაზრდობის დაუცხრომელ ენერგიასთან (სარაევი სოლოვიოვი, შჩერბაკოვი და სხვ.) ცხადია, მოსკოველები საკუთარი გულშემატკივრების წინაშე კიდევ უფრო მეტი მონდომებით ითამაშებენ და ამიტომ ქუთაისის „ტორპედოს“ მართებს მთელი თავისი უნარის მაქსიმალური გამოყენება, რათა მატჩი წარმატებით იქნას ჩატარებული.

მეტად ძნელი შეხვედრა აქვთ თბილისელებსაც. შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი — მინსკის „დინამო“ თანდათან უახლოვდება ლიდერთა ჯგუფს და, ცხადია, მომავალ მატჩშიც შეეცდება გაიმჯობესოს ქულათა აქტივი. მართალია, მინსკელთა თავდასხმაში ჯერჯერობით დაშლილია ცნობილი „დუეტი“ — მალაფეევი — მუსტაგინი (უკანასკნელს ცვლის საფრონოვი), რის გამოც გატანილი გოლებით, ეს გუნდი ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა (სულ 7 გოლი), მაგრამ კვლავინდებურად საიმედოდ, სტაბილურად თამაშობს დაცვა (რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, არზამასცევი, მოზერი) და მეკარე დენისენკო: 12 მატჩში სულ 6 ბურთი აქვს გამოტანილი თავისი კარიდან.

გადავხედოთ დღევანდელი ტურის დანარჩენ მონაწილეებსაც. „ნეფტიანიკმა“ ბოლო 4 მატჩში დაკარგა 7 ქულა! იმდენად გაიუარესა მდგომარეობა, რომ 11 ქულით აუტსაიდერთა ზონაშიც ჩამოქვეითდა. დღეს მათ საკუთარ მინდორზე უნდა მიიღონ ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიცაა როსტოვის არმიელთა გუნდი. გათამაშების ცხრილი ცხადყოფს: „ნეფტიანიკს“ აღარა აქვს „უკან დასახევი“ ადგილი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში არიან „აბსოლუტური აუტსაიდერები“ — „შინიკი“ და „ჯენიტი“. ბოლო ორი ადგილის „მფლობელი“ ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება იაროსლავლში და ამ მატჩს მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უახლოესი მეზობლები არიან ცხრილში აგრეთვე „ვოლგა“ და ცსკა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მოსკოველებს მეტოქეზე 3 მატჩით ნაკლები აქვთ ნათამაშევი. ეს მატჩი შედგება გორკში.

დაბოლოს, ლიდერებზე. კიევის დინამოელები ისვენებენ, ხოლო დონეცკის „შახტიორი“ თამაშობს ალმა-ატაში „კაირატთან“. ლიდერს თავის წამყვან მდგომარეობაზე უხდება ზრუნვა, „კაირატს“ კი ახალი ქულების ძიებაზე, ვინაიდან ის, რაც მას აქვს (11 ქულა) ძალიან ცოტაა გუნდის უხიფათობისთვის.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს

მინსკსა და მოსკოვში შედგება საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის.

საქართველოს რადიო აწყობს ამ მატჩების ტრანსლაციას:

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) — 21 საათსა და 20 წუთზე;

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 21 საათსა და 45 წუთზე (თბილისის დროით).

„ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი

მეორე ჯგუფი, II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 15 ივლისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სკა (ოდესა)	17	8	8	1	18—7	+11 24
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	17	9	5	3	26—11	+15 23
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	17	8	3	6	16—14	+2 19
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	17	6	7	4	15—13	+2 19
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	17	6	5	6	17—15	+2 17
„კარპატი“ (ლვოვი)	17	7	3	7	22—22	0 17
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	17	6	5	6	15—15	0 17
„არარატი“ (ერევანი)	17	4	8	5	14—12	+2 16
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	16	4	8	4	11—9	+2 16
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	17	5	6	6	15—22	—7 16
„დინამო“ (ტალინი)	16	4	7	5	15—14	+1 15
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	17	5	4	8	14—19	—5 14
„ალგა“ (ფრუნზე)	18	5	4	9	17—30	—13 14
„სპარტაკი“ (გომელი)	18	2	7	9	7—19	—12 11

კენჭისყრა მოხდა

ქენევაში, სადაც მოთავსებულია ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის საშტაბო ბინა, ამ დღეებში მოხდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა კენჭისყრა.

ჩემპიონთა თასზე გათამაშება ჩატარდება მეათედ. მისი მფლობელი 5-ჯერ იყო „რეალი“ (ესპანეთი), 2-ჯერ — „ბენფიკა“ (პორტუგალია) და თითოჯერ — „მილანი“ და „ინტერნაციონალე“ (იტალია).

მორიგ გათამაშებაში მეტოქენი დაწყვილდნენ შემდეგნაირად: დვს (ჰოლანდია) — „ფენერბახჩე“ (თურქეთი), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია), „ლიონი“ (ნორვეგია) — „რეიპასი“ (ფინეთი), „ლივერპული“ (ინგლისი) — „რეიკავიკი“ (ისლანდია), „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — „შო დე ფონი“ (შვეიცარია), „რაპიდი“ (ავსტრია)— „შეფროკ როვერსი“ (ირლანდია), „ჰემი“ (გდრ) — „დერბი“ (უნგრეთი), „შლიემა უონდერერსი“ — (მალტა) — „დინამო“ (რუმინეთი), „პარტიზანი“ (ალბანეთი) — „კოილნი“ (გფრ), „ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — „შალშე“ (შვეცია), „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „არისი“ (ლიუქსემბურგი), „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბოლონია“ (იტალია), „ოდენსე“ (დანია) — „რეალი“ (ესპანეთი), „გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი), „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) — „გურნიკი“ (პოლონეთი), „ინტერნაციონალე“ პირველი წრის თამაშებიდან თავისუფალია.

თასების მფლობელთა თასი. ამ შეკიბრებაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე გუნდს ორჯერ ზედიზედ მოეგოს იგი. მისი მფლობელები იყვნენ „ფიორენტინა“ (იტალია), „ატლეტიკო“ (ესპანეთი), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი) და „სპორტინგი“ (პორტუგალია).

თასის კენჭისყრის შედეგები ასეთია: საბერძნეთის თასის მფლობელი — „დინამო“ (იუგოსლავია), „ვალკეაკოსკენ ჰაკა“ (ფინეთი) — „შეიდი“ (ნორვეგია), „აუფბუ“ (გდრ) — „გალატასარაი“ (თურქეთი), „კარდიფ-სიტი“ (უელსი) — „ესბერგი“ (დანია), „ადმირა“ (ავსტრია) — „ლეგია“ (პოლონეთი); რუმინეთის თასის მფლობელი — „დერი სიტი“ (ჩრ. ირლანდია), „პორტო“ (პორტუგალია) — „ოლიმპიკი“ (სფრანგეთი), „უნიონი“ (ლიუქსემბურგი) — „მიუნხენი“ (გფრ), „სპარტაკ-სოკოლოვო“ (ჩეხოსლოვაკია) — „ანტორტოსისი“ (კვიპროსი), „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ლა განტუაზი“ (ბელგია), იტალიის თასის მფლობელი — „ფორტუნა“ (ჰოლანდია), „ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ლოზანა“ (შვეიცარია), „ლა-ვალეტა“ (მალტა) — „სარაგოსა“ (ესპანეთი); ბულგარეთის თასის მფლობელი — „კორკ სელტიკი“ (ირლანდია), ლისაბონის „სპორტინგი“ (თასის მფლობელი) და შოტლანდიის „დანდი“ (კენჭისყრით) პირველ წრეში თავისუფალი არიან.

პირველი წრის მატჩები დაიწყება 1 სექტემბერს და გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთში (I ქვეჯგუფი) განვლილ კვირას შედგა ერთი მატჩი მახარაძის „მერცხალსა“ და ახალციხის „მესხეთს“ შორის.

მახარაძელებმა თამაშის დასაწყისიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და კარგა ხნის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს. მათ ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში. „მერცხალმა“ მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლო ანგარიშის გახსნა და მახარაძელებმა ამ მინიმალური უპირატესობით მოიგეს თამაში.

II ქვეჯგუფში ცხინვალის „სპარტაკმა“ დაამარცხა ფოთის „მექანიზატორი“ — 3:1, წულუკიძის „წინსვლამ“ — ჩოხატაურის „ბახმარო“ — 2:1, ხოლო სოხუმის „დინამომ“ — ყვარლის. „ტურუჯი“ — 1:0. „საირმემ“ (მაიაკოვსკი) საკუთარ მინდორზე დამარცხება განიცადა ზუგდიდის „სამეგრელოსთან“ შეხვედრაში — 0:2.

ზონალური შეკიბრებები: ბოგდანოვკა — ახალქალაქი 3:0, ლაგოდეხი — წითელწყარო 1:0, თელავი — ახმეტა 2:2, ხაშური — თიანეთი 7:1, მცხეთა— თეთრი წყარო 5:1, წალკა—გარდაბანი 3:0, „ახალდაბა“ (ბორჯომი) — დუშეთი 1:1, „ქართლი“ (გორი) — გორის რ-ნი 2:1, საჩხერე — ამბროლაური 5:1, ტყიბული — ჭიათურა 3:3, ქ. წყალტუბო — წყალტუბოს რ-ნი 3:2, ვანი — „ლაითური“ (მახარაძე) 0:3, „ტეხურა“ (ცხაკაია) — ლანჩხუთი 3:3, ზუგდიდი — გეგეჭკორი 3:0, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — სამტრედია 1:1.



თბილისის ჭუჩების გუნდების ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს „უშბის“ (ოქტომბრის რაიონი) ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც პირველი პრიზი გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. ჰაიჭაძემ.

სურათზე: გამარჯვებულთა დაჯილდოების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



უსიტყვოდ...

ჟურნალ „სპორტოვეციდან“ (პოლონეთი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვება

მოსკოვი, 14 ივლისი (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა „მოლდოვა“.

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ნეტომ და ლოგოფეტმა (11-მეტრიანი საჯარიმოდან). ერთადერთი ბურთი სპარტაკელთა კარში კიშინიოველებმა 82-ე წუთზე გაიტანეს.

„ბ“ კლასი

რსფსრ-ს IV ზონა

14 ივლისს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ამნიშნულ ქალაქებს.

ნალჩიკი

ადგილობრივმა „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო ბათუმის „დინამო“. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლებმა მეორე ნახევარში გაიტანეს, თამაშის ბედი „სპარტაკის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კაფანი

„ლერნაგორცის“ ფეხბურთელები თამაშობდნენ გურჯაანის „ალაზანთან“. მატჩის პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს — 1:0. შეხვედრის შემდეგ კაფანელებმა შეძლეს ხაპასუხო ბურთის გატანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ორჯონიკიძე

ადგილობრივი „სპარტაკი“ თამაშობდა ფოთის „კოლხიდასთან“. დაძაბულმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 1:1.

სტავროპოლი

სოხუმისა და ადგილობრივი დინამოელების შეხვედრაში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ თავდამსხმელთა არაზუსტმა დარტყმებმა უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა. 90-წუთიანი ბრძოლა ფრედ (0:0) დამთავრდა.

ანკესებით — სუფსაზე

„განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭომ მდინარე სუფსაზე მოაწყო ხანშესულთა ორდღიანი ტურნირი თევზჭერაში. პირველ დღეს გაიმართა საჩვენებელი შეჯიბრება, მეორე დღეს — პირველობა ანკესებით. 2 საათის განმავლობაში ყველაზე მეტი (1.200 გრ) თევზი დაიჭირა ლიტოპონის ქარხნის გუნდის წევრმა ლ. კოლესნიჩენკომ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ავტოქარხნელები — ვ. დოლაბერიძე და მ. ულიბენკო. გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა ლიტოპონის ქარხნის კოლექტივს.

შეჯიბრებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ავრეთვე მაუდის ფაბრიკის, მე-8 სამკერვალო ფაბრიკის, ელექტრომექანიკური ქარხნისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა მუშაკნი, დიდი ინტერესი გამოიწვია.

სამწუხაროდ, თევზჭერით მეუშაო მოსამსახურეთა გატაცებას, ღონისძიებათა ხშირად ჩატარებას ხელს უშლის ზოგიერთი წარმოების პროფკავშირული ორგანიზაციების გულგრილობა. ისინი ამ ზოგადგამაჯანსაღებელი ღონისძიებით დაინტერესებულნი სათანადო პირობებს არ უქმნიან.

ვ. აფრიდონიძე,
„განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

დაე, მიწა ეწვოდეთ ფეხქვეშ!

მწარე გულისტკივილით შევიტყეთ მშვენიერი სპორტსმენისა და ახალგაზრდის — მალხაზ ადეიშვილის ტრაგიკული დაღუპვა და აღშფოთებულმა წავიკითხეთ ჩვენი კოლეგების — მოფარიკავეების მიმართვა მთელი საზოგადოებრიობისადმი — „ხორცმეტები —ცხელი შანთით!...“

ჩვენ, ქართული საბჭოთა სპორტის ვეტერანები გულისწყრომის და აღშფოთების ხმას ვუერთებთ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას, რომელიც წერს: „წამოვიწყოთ დაუნდობელი, მძვინვარე ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც ტალახში სვრის ჩვენი ახალგაზრდობის სანაქებო სახელს, ვინც შემთხვევით მიტმასნებია ჩვენს დიდ ცხოვრებას, ვისაც ჩვენს შორის ადგილი არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს!“

საქმე მარტო ის არ არის, რომ არამზადების დანამ შესანიშნავი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა. მთავარი ის არის, რომ მათი მიზეზით შეწყდა ახალგაზრდა ადამიანის გულისცემა, რომელიც სამშობლოს, ხალხს, კომკავშირს, პარტიას ერკუთვნოდა, საერთო საქმეს სჭირდებოდა. იმიტომ, რომ ყოველი ახალგაზრდა ჩვენი მომავლის იმედია, ყოველი მათგანის ცხოვრება ბევრ კეთილ საქმეს გვპირდება.

აი, სწორედ ამიტომ მოვითხოვთ: მთელი საზოგადოების სახელით სამაგალითოდ და უმკაცრესად დავსაჯოთ, ლ. მაღალაშვილი, გ. ქაჯაია და მათი ამფსონები — ზ. ხადარაია, გ. ინწკირველი, რ. ჭეიშვილი, რომელთა მსხვერპლი გახდა მალხაზ ადეიშვილი!

სავსებით სწორია, რომ ასეთი გარეწრები ჩვენთან ერთეულები არიან. მაგრამ ეს ერთეულები, იმის გარდა, რომ ათასობით ახალგაზრდას უტიხენ სახელს, თავიანთი თავხედობით და აღვირახსნილობით ჰარალიზებას ახდენენ და არანორმალურ, მოუთმენელ პირობებს ქმნიან ყველგან, სადაც კი გამოჩნდებიან.

ჩვენც მოვითხოვთ, რომ ცხელი შანთით ამოიწვას ერთეულთა ეს თავგასული უმსგავსობა! ჩვენ გვინდა, რომ თავისუფლად შეგვეძლოს სიარული ცოლ-შვილთან და ქმარ-შვილთან ერთად, ისე, რომ ვიგინდარების შეურაცხყოფას და უტიფრობას არ ვაწყდებოდეთ არსად, არც ერთ ნაბიჯზე. გვსურს, რომ ჩვენი შვილები დაზღვეული იყვნენ გამხრწნელი მაგალითისგან და არაფრით არ ეშლებოდეთ ხელი სწავლაში, შრომაში და დასვენებაში. ჩვენ გვსურს, რომ არც ერთ მშობელს აღარ დაატყდეს ისეთი შემზარავი უბედურება, როგორიც მალხაზის მშობლებმა განიცადეს!...

მაგრამ მარტო სიტყვიერი მოთხოვნით შორს ვერ წავალთ. ყველა პატიოსანმა ადამიანმა პრაქტიკული წვლილი უნდა შეიტანოს არამზადების ალაგმვაში. ამას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი უნდა მიეცეს და მკაცრი პროფილაქტიკური გამიზნულობა ჰქონდეს.

სწორია ჩვენი კოლეგების მოთხოვნა, რომ საზოგადოების ხორცმეტთა აღზრდისათვის მშობლებმაც უნდა აგონ პასუხი და ამას კიდევ ერთხელ განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი. ყოველმა მშობელმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს მისი შვილი, რა გზას ადგას, რა წრეში ტრიალებს და საჭიროების შემთხვევაში გადამჭრელ ზომებს მიმართოს!

განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი იმ სასწავლებლების და კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას, სადაც მსგავსი გარეწრები აფარებენ თავს. ყველა ზემოაღნიშნული ბოროტმოქმედი სტუდენტი იყო და, ჩვენდა სამარცხვინოდ, — კომკავშირის წევრიც (ლ. მაღალაშვილი სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, გ. ქაჯაია, ზ. ხადარაია და გ. ინწკირველი — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რ. ჭეიშვილი—უნივერსიტეტში). როგორ მოხდა, რომ ამ შეიარაღებულმა ნაძირალებმა IV და V კურსებს მიაღწიეს და არავის არ მოსვლია აზრად მათი დროული შეჩერება ბოროტმოქმედებისა და აღვირახსნილობის გზაზე?! აქედან მხოლოდ ერთი დასკვნაა: პროფესორ-მასწავლებლობა სალექციო საათების და აკადემიური მაჩვენებლების იქით არ იყურებიან, თავს არიდებენ უპირველეს პედაგოგიურ მოვალეობას — აღზრდას. მთელი სიმკვახიე უნდა დაისვას საკითხი და პრაქტიკულად გატარდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებების მესვეურებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ, მკაცრად მოკიდონ ხელი ასეთი ნაძირალა, გამხრწნელი ერთეულების გამოვლინებას, დაუყოვნებლივ გაწმინდონ მათგან თავიანთი რიგები, მათი საქმე კი პირდაპირ გადასცენ მილიციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კეთილი ინებონ და ასეთმა ვაი-აღმზრდელებმაც აგონ პასუხი ყოველი ბოროტმოქმედების, თვით „წვრილმანი“ ხულიგნობის შემთხვევებშიც!

მთელი საზოგადოება უნდა დადგეს მილიციის მხარდამხარ ამგვარი სახიფათო ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. რომ მილიციის მუშაობაშიც ქმედითი, რადიკალური ხასიათი მიეცეს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. რა დასამალია: ზოგიერთ ჩვენგანს პირდაპირ უთხრეს მილიციის მუშაკებმა, რომ მათთვის ცნობილია მსგავსი გარეწრების თითო-ორიოლა „მიმდევარიც“, რომლებიც პლეხანოვის პროსპექტზე, რუსთაველის მოედანთან თუ სხვა ადგილებში ტრიალებენ, მაგრამ მათი წინასწარი მხილებისა თუ პროფილაქტიკური დაკავება-შემოწმების უფლება არ გვაქვსო (?!) ჩვენი საზოგადოება ჰუმანურია, საბჭოთა კანონმდებლობა ყველაზე უფრო ადამიანურია მთელს მსოფლიოში, მაგრამ როცა საკითხი ეხება ჩვენი მომავლის — ახალგაზრდობის რიგებიდან ცალკეული ხორცმეტების, წარსულის მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლას, აქ გადამწყვეტნი და ულმობელნი უნდა ვიყოთ. აი, ამიტომ ვაყენებთ საკითხს, რომ მილიციამ გაამკვეთროს ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რათა ერთხელ და საბოლოოდ გაწმინდოს სახელისგამტეხი ერთეულებისაგან ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის რიგები.

სპორტსმენები კუნთმაგარი, მტკიცე, მორალურად გამოწრთობილი ხალხია. ისინი პირველ რიგში უნდა დადგნენ მილიციის მხარდამხარ და თავიანთი ძლიერი მარჯვენით ალაგმონ ყოველგვარი უწესრიგობა. ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა საკუთრივ უნდა შექმნან, სხვა დაწესებულებათა მსგავსად, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი რაზმეულები და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ არამზადებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბოგინობენ ჩვენს სინამდვილეში.

გვინდა ეს წერილი ჩვენი კოლეგების — მოფარიკავეების სიტყვებით დავამთავროთ:

სახალხო ზიზღი, არავითარი დანდობა მათ, ვინც სახელს გვიტეხს!

დაე, მიწა ეწვოდეთ ფეხქვეშ მათ, ვინც ხელს გვიწევს შრომაში, სწავლაში, დასვენებაში, ცხოვრებაში!

სპორტის დამსახურებული ოსტატები:

რ. აბაშიძე, ვ. ბალავაძე, მ. ბერძენიშვილი, გ. გაგუა, ნ. გვახარია, ა. კიკნაძე, გ. პაიჭაძე, გ. რცხილაძე, გ. სხირტლაძე, ა. ქორიძე, ო. ქორქია, ა. ღოღობერიძე, რ. შავლაყაძე, ს. შუდრა, მ. ცალქალამანიძე, გ. ჯოჯელავა, მ. ჯუღელი.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდაა ცნობილი დების, ნიჭიერი მოცურავეების — ირინე და ნატალია ჩუგუევსკების სახელი. ისინი არაერთხელ გამოსულან გამარჯვებული რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

სურათზე: ირინე (მარცხნივ) და ნატალია ჩუგუევსკები.

ფოტო სპორტის ოსტატ **გ. კამენსკისა.**

▲ **ლოს-ანჯელოსი.** ამერიკელ მოცურავეთა ტრადიციულ შეჯიბრებაში 15 წლის გოგონამ შარონ სტაუდერმა 100 მ ბატერფლაით გაცურა 1.06,1, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. მისი შედეგი ამ სტილით 200 მ ცურვაში — 2.28.1 — ასევე უმაღლესი მიღწევაა მსოფლიოში.

▲ **ჰელსინკი.** მოტოკროსში (250 კბ სმ) მსოფლიო ჩემპიონატის X ეტაპი კვლავ ამ ასპარეზობის ლიდერის — ბელგიელი ი. რობერტის წარმატებით აღინიშნა. მან ორივე სერია მოიგო და 62 ქულა მოაგროვა. კიეველ ი. გრიგორიევს 20 ქულა აქვს, ხოლო მოსკოველ ვ. არბეკოვს — 18. მოტოციკლისტებს წინ კიდევ ხუთი შეჯიბრება დარჩათ.

▲ **ლონდონი.** ინგლისის მძლეოსნური ასოციაციის ყოველწლიური პირველობა ყველა უცხოელი სპორტსმენისთვისაა ღია. „უაი-სიტის“ სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში ამჯერადაც ბევრმა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა. 100 იარდზე რბენის ფინალში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა კუბელმა ე. ფიგეროლამ. მისი დრო — 9,4 წამი ასოციაციის ჩემპიონატების რეკორდია. 21 წლის მძლეოსანმა ლ. დევისმა დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 823 სმ (მესამე შედეგი მსოფლიოში საერთოდ).

▲ **ხენფორდი** (აშშ). მძლეოსანთა აქ გამართულ ასპარეზობაში ახალგაზრდა სპორტსმენი ქალების მიერ ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. 100 მეტრზე რბენაში ოთხ მძლეოსანს ერთნაირი შედეგი ჰქონდა — 11,5. გამარჯვება ძიეკუთვნა ვ. ტაიესს. მეორე ადგილზე გამოსულმა 20 წლის ე. შაკგუაირმა ყველას აჯობა 200 მ რბენაში — 23,6. სარეკორდო მაჩვენებლით — 54,4 — გაირბინა 400 მ 17 წლის სტუდენტმა ჯ. სმიტმა. სიგრძეზე ხტომაში ვ. უაიტმა დაძლია 642,5 სმ, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში პირველი იყო ე. მონტგომერი — 172 სმ. აშშ-ის ახალი რეკორდი შუბის ტყორცნამ დაამყარა 21 წლის რ. ბეირმა — 52 მ 84,5 სმ.

▲ **კარლოვი ვარი.** აქ დამყარებულ იქნა მსოფლიო რეკორდი, რომლის მხოლოდ განმეორება შეიძლება, ხოლო მოხსნა — არასგზით. ჩეხი პარაშუტისტი დ. მალი 600 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტომისთანავე პარაშუტის უმალ გახსნით, ორჯერ ზედიზედ წრის შეაგუნში დაეშვა. ასეთი რამ არ ახსოვს სპარაშუტო სპორტის ოსტატებს.

▲ **პრაღა.** აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ტანმოვარჯიშე ქალთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვა მასპინძლებმა. პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ჩესლავსკა (ჩეხოსლოვაკია) — 76,96, 2. ბარტი (გდრ) — 75,80, 3. რუჟიჩკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 75,65, 4. რადოხლა (გდრ) — 75,50, 5. შარკე (გდრ) — 75,20.

▲ **ბელგრადი.** იუგოსლავიის დედაქალაქში დამთავრდა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გათამაშებაში პირველი ადგილი იუგოსლავიის I-მა ნაკრებმა დაიკავა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ფინეთის გუნდი — 96:63. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უნგრეთმა მოუგო იუგოსლავიის II გუნდს — 88:83.

იუგოსლავია — სსრ კავშირი

ბელგრადი, 22 ნოემბერი

როგორც ბელგრადის გაზეთი „სპორტი“ იუწყება, იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები მომდინარე სეზონში ათამდე ამხანაგურ მატჩს გამართავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გუნდებთან. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება ორ შეხვედრას საბჭოთა ფეხბურთელებთან.

პირველ მატჩში (4 ოქტომბერს — მოსკოვში) ერთმანეთს შეხვდებიან იუგოსლავიის და სსრ კავშირის ახალგაზრდული კოლექტივები. 22 ნოემბერს ბელგრადში ითამაშებენ ამავე ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდები.

ყურადღების ცენტრშია აგრეთვე ერთი მატჩი, რომელიც 23 სექტემბერს გაიმართება ბელგრადში. ესაა იუგოსლავიის ეროვნული გუნდისა და ევროპის ნაკრების შეხვედრა.

გრაზილიელები — დილემის წინაშე

ბრაზილიის ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია დილემის წინაშე დგას. 1966 წლის მსოფლიო პირველობისთვის მან ან ძველი გვარდია უნდა „დაგეშოს“, ან საერთოდ უარი თქვას მასზე და შექმნას ახალი გუნდი. სპეციალისტთა უმრავლესობა მხარს მეორე წინადადებას უჭერს. მათი აზრით მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის ძველი გვარდიის წარმომადგენლები „მობერებულნი“ იქნებიან.

მაგრამ არის თუ არა მათი ცვლა? ამ კითხვას პირდაპირ ვერავინ უპასუხებს, რადგან ძნელია სრულფასოვანი მოთამაშეებით შეცვალო ჟილმარი, ჯ. სანტოსი, მაური, ზაგალო და სხვ.

ერთ-ერთი ბრაზილიური გაზეთის ცნობით, ბრაზილიელი ფეხბურთელები 1966 წლისთვის გამოუსადეგარნი იქნებიან იმიტომ, რომ ჟილმარს 36 წელი შეუსრულდება, ჯალმა სანტოსს — 37, მაუროსა და ზაგალოს — 36-36, ზიტოს — 34. ასეთ ასაკში, გაზეთის აზრით, შეუძლებელია დიდ წარმატებაზე ფიქრი, მით უმეტეს მსოფლიო ჩემპიონობაზე.

ფეხბურთის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. 16 ივლისი. საკავშირო გათამაშება „იმედის“ თასზე. „დინამოს“ სტადიონი. **საქართველო** (ნაკრები) — **რსფსრ** (ნაკრები). დასაწყისი 19 საათზე.

ცხენოსნობა. 16—19 ივლისი. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. დელისის იპოდრომი. დასაწყისი 16, 17 და 18-ში — 16 საათზე, 19-ში — 12 საათზე.



სიახლენი თბილისის ჟურნალში

ნახატი ა. გაჩეჩილაძისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01290